

572
1964/9

© 1964
S. S. KUPCHENKO



1964 ՅՅԹՈՆՈ

ԳՈՐԿ

№ 4



ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ქართველ ბავშვებთან

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის 1964 წლის 17 აპრილს
შუასკულა დაბადების 70 წელი

ლაქაზი პელო

ა. კონონი

ნახატი მ. ბალოვანი

ლენინს ნადირობა უყვარდა. თუმცა იშვიათად იკლიდა საამისოდ და ალბათ ამიტომ ყოველთვის მიზანშიც ვერ ახვედრებდა. მაგრამ ნადირობა მაინც დიდ სიამოვნებას გვრიდა მას.

ერთხელ, როდესაც ლენინი ავადმყოფობის შემდეგ ისვენებდა, ამხანაგებმა მელიებზე სანადიროდ წაიყვანეს.

ეს იყო ზამთრის ყინვიან დღეს. ნადირობა პატარა დროშებით მოაწყეს. ტყის გარშემო, სადაც მელიების სორო ვეულებოდათ, თოვლში პატარა წითე-

ლი დროშები ჩაარტყეს. ამის შემდეგ მონადირეები სხვადასხვა ადგილას ჩასაფრდნენ. ვლადიმერ ილიას ძე დიდ ფიჭვს ამოეფარა.

შორიდან ჯერ ხმამაღალი ყეფა მოისმა, მერე თოფმაც იგრიალა. ლენინი თოფმომარჯვებული იდგა.

ირგვლივ ყველაფერი უცებ დაწყნარდა. ეტყობოდა, მელია ტყის მეორე მხარეს გაექცათ. რომელიღაც ჩიტმა ვლადიმერ ილიას ძეს თავზე გადაუფრინა. ჩიტი ფიჭვის ტოტს შეეხო და თოვლი ჩამოცვივდა. ზემოდან ნელი ტრიალით წამოვიდა მსუბუქი ფიჭვები.

ტყე იყო ძალიან ლამაზი და ჩუმი. მოულოდნელად პატარა ნაძვთან მე-



ლია გამოჩნდა. მიიხედ-მოიხედა, მერე
კისერი წაიგრძელა,—აღბათ ჰაერი და-
ყნოსა. გრძელი, ფაფუკი ბეწვი ჰქონდა.
ოდნავ ამოძრავებდა დიდ კუდს, რომე-
ლიც მზისა და თოვლის შუქზე ცეცხ-
ლისფერად ბზინავდა.

მელა ვერ ხედავდა ფიჭვის უჯან ჩა-
საფრებულ მონადირეს. ერთბაშად წინ
გადმოხტა და შეჩერდა, სმენა დაძაბა,
კული გაიქნია; შეშინებულმა მუქი,
მრგვალი თვალებით შორს გაიხედა,—
აღბათ ადამიანის სიახლოვე იგრძნო.

სწორედ ამ დროს თოვლში ჩარქო-

ბილი პატარა ალამიც ნიავმა შეარხია.
გულგახეთქილი მელია თოვლსა და
ტყის სიღრმეს შეერია.

ლენინისაკენ მოხუცი მონადირე
მირბოდა და გაბრაზებით რალაცას ყვი-
როდა.

ვლადიმერ ილიას ძე იღვა და თო-
ვის ლულა დაეშვა.

— რატომ არ ესროლეთ?! მელა ორ
ნაბიჯზე გედგათ, ვლადიმერ ილიას ძეც!

— ისეთი ლამაზი იყო, რომ შემეცო-
და!—მიუგო ღიმილით ლენინმა.

თათარგნა ა. ახულაშვილმა

ბოჩო

მინი ძველად

— ბოჩოლა ახლა აქ იყო,
გვერდით არ მომშორებია,
სად გაქრა,
ვაი, რაღა ვქნა,
რა უნდა ვუთხრა ბებიას.

— მოო, ბოჩოლა, მოო!..—
არსად არა ჩანს ხბო.

აქეთ თალიკო გავარდა,
იქით—ზურია, ქოჩორა...
ძებნეს და ძებნეს ჯაგებში,—
არსად არა ჩანს ბოჩოლა.

სალამოს სახლში დაბრუნდა
თვალცრემლიანი თინიკო...
ვინდ დაიჯერეთ, ვინდ არა,—
ბოჩოლა უკვე შინ იყო.

თინიკო მისკენ გაიქცა:

— მოო, ბოჩოლა, მოო!..
რად წამოხვედი, მითხარი,
არა გრცხვენია, ხომ?..


გოგონას ყურს არ უვდებდა
კუდაპრებილი ხბო,—
გაიკუნტრუშა ერთი და...
ზედ გადაახტა ღორს.

მერე თიქნები დაფრთხო,
მერე ქათმები იფრინა...
გახარებულმა თინიკომ
ძალიან ბევრი იცინა.



ი. შანიანი

კეთილი რომ თამაშობენ
ვინ არიან, ვინა?
ხალწინა ციცვინა
და კუდრუჭა თინა.



გაბურჯან ცეცქები—
ღათიკა და მურია,
თუმცა შერეგება კი
ღარიფსა სწუურია!



ნახატები ნ. შირაზიძისა

რუსიკოს გამოუდგა
სამი ბატი ვივინით:
„ამ გოგონას დაფიჭვრთ
თავის კონტა ტიკინით!“





ირრდიონ ვვღშვილი ცნობილი ქართველი მწერალია. მან მრავალი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა და ლექსი დაგვიწერა. მისი ნაწარმოებები შესულია «ღეღა ენაში» და ბავშვები დიდი სიყვარულით კითხულობენ და სწავლობენ.

„იის ნაამბობი“ კი ჯერ არსად არ დაბეჭდილია. ეს მოთხრობა ჩვენს რედაქციას მეცნიერ-მუშაკმა შოთა ბარამიძემ მოაწოდა და ქვეყნდება პირველად.



იის ნაამბობი

ირრდიონ ვვღშვილი

ჯერ ისევ თებერვლის შუა რიცხვები იყო, როდესაც გაყინულ-გათოშილმა ცოტაოდენი სითბო ვიკრძინი. გამებარდა, ფეხვები ნელ-ნელა გაგშალე, ღერო ზემოთ წამოგწიე. ანკი როგორ არ გამებარდებოდა, მთელი ათი თვე ვიწეკი მიწაში, არ ღამინახავს ცა, არ ღამინახავს მწვანე კორდი, მინდორი, არა მსმენია ნაკადულის ჩუხჩუხი. მთელი ათი თვე ვიყავი ტყვედ: ზამთარმა ხომ სულ ერთიანად გამოიშა! ღიახ, გამებარდა, გამებარდა და მესიამოვნა, როდესაც პირველად ვიკრძინი მზის სითბო. ვიფიქრე: ეხლა კი ღმერთი ჩემსკენ არი-მეთქი და იმედი მოვიკრიფე... რაც ღლე გადაიოდა, იმღენად უფრო ვლონიგრდებოდი, ვიკრებდი ძალას, ვწოვდი მიწიდან ტბილს ნექტარს და ვიზრდებოდი.

არ გასულა სულ ერთი კვირა, რომ თავი ამოგვაყვი ზევით და შეგხედე ცას. აჰ, რა ბედნიერი იყო ეს წუთი; თქვენი გგონათ, რადგან ენა არა მაქვს, არ ვიცი სიხარული, ან სიმწუხარე? ვიცი, როგორ არ ვიცი.

ამოგვაყვი თუ არა თავი ზევით, გულმა გელარ გამბილთ და ჩემი ლურჯი ტურჩები ვაკოცე ნიაგხ, ისიც მაღ-მაღლ შემომიქროლებდა ხლმზე და რამდენიმე ღღის შემდეგ გამიშალა ლურჯი ქოჩორი. ჩემი მწვანე ფოთლებიც აღღინდნენ,





ისინი ბანს აძლევდნენ ნაკაღლის ჩხრიალს. შოგიერთ ზეს კოკორი გამოეტანა და ისიც ჩემსავითი მზის სხივს უტინოდა. გარშემო ჩემს დამძებს ამოუყოთ თავი. ერთი ჩემი ამხანაგი სწორედ ჩემს გვერდით ამოსულიყო.

დაუბრავდა თუ არა ნიაგი, ათამაშდებოდა ისიც. მოიღერებდა თავს და ყელი უელს გადავხვევდით ზოლზე ერთმანეთს.

— მე... ბე...— მოიხმოდა პაწია ბატკნის ბღვილი. ისინი დახტოდნენ, დაფუნდრუტებდნენ ჩვენ შუა, ჩვენს გარშემო. მეცხვარე კი ტკიბილის საღამურით დაპკვენსოდა არეშარებს. ერთი სიტყვით: ქორწილი იყო. ნამდვილი ქორწილი, სიხარული, სიამოვნება, სიმღერა და ცეკვა.

ახე ვფარებდით ტბობს დღეებს მე და ჩემი მეზობლები, მაგრამ ერთ დღიას, როდესაც დანაშაული ქიორი ჯერ არც კი შემშრობოდა მზის სხივებზე, ბუჩქებში რაღაც შრიალი მოიხმა, შემოავეხმა ღამაპაკიც.

— იქით, გივლავ, იქით, ავერ იმ ბუჩქებს შუა, ისეთი იაა, ისეთი რომ, შა!

— ვიცი, იქ ყოველთვის კარგი ია მოდის!— უპასუხა მეორემ და ერთი წუთის შემდეგ თავს დაგვეკეროდა რადენიმე ბავშვი კალათებით ხელში.

ნახალი ბ. რიონივილი

— აბა, შა, საქმეს შევუდგეთ. კარგები ამო- არჩიეთ!— დაარიგა მათში ყველაზე უფროსმა და დავვიწყო მოკრეფა.

— რა კარგი იაა!

— შაი, შაი, რომ კარგია!

— კონა შაურზე ნაკლებ არ გაიყილება!— ხმაურობდნენ ბავშვები, იცინოდნენ, გვერდუნდნენ და თან კალათებში გვერიდნენ.

„ნეტა რა უნდათ ჩვენგან?— ვფიქრობდი მე.— სად უნდა წავვიღონ. განა აქ არ გვერჩივან?“— მაგრამ ჩემს ფიქრებს ვინ უღებდა უფრს, ისეთი გამაღებული გვერდუნდნენ. და როცა გული იფერებს, ყველამ თავისი კალათა წინ დაიდგა და სათითაოდ მუქაში ერთმანეთზე აგვეკონეს. ყველა მათგანმა ჩანდენიმე კონა შეკრა. მეც კალათიანად ამოგვევლინე მორუბრუტე წყაროში და სიცილ-ხარხარით გაულდნენ უზას.

მე მოვგვდი ჩემს ამხანაგთან ერთად ბავშვის კალათაში. ის ფენშიშველი იყო. ტანისამოსი დაგლეჯილ-დაფლეული იცვო, თავზე ჩაჩი ეტურა და სახე ისეთი გაყვიოლებული ჰქონდა, თითქოს მძიმე ავადმყოფი ყუფილიყოს.

— ახ, თუ ყველა კონები დავაიდ დღეს,— ნატრობდა ის გუზა და გუზა, საქმით პურს მივიტან სახლში, იქნებ დედასაც წაშალი ვუყიდი!

მზაუნველი ღელა

ურბანული საბავშვო ჟურნალიდან

— დავეყიდი, დავეყიდი! როგორ ვერ დავეყიდი!—ანუგე-
შებდნენ ამხანაგები. „ერკაპა, ეხლა კი მივხვდი, რაში იყო საქმე.
ჩემს პატრონს უფრო კარგად დავცქეროდი სახეზე. მას შიმში-
ლისგან თვალები ჩაწყვითლებოდა, ლოყები ჩასცივენოდა.

„ხაწყალი, ხაწყალი ბიჭი!“—გავიფიქრე გუნებაში.

არ გასულა დიდი ხანი, რომ შევიდით დიდ უშველებელ
სახლების შუაში. ეტლების ხრიალი, ხალხის ჩოჩქოლი, ლაპარაკი
ჰაერს აყრებდა. ქუჩის ორივე მხარეს მრავალი ხალხი დახე-
ირნობდა მდიდრულად მოართული. ეს თურმე ქალაქი იყო.


— ია იყიდეთ, ბატონებო! ია, კარგი ია, თვალურჯა ია,
მინდვრის ია, დილის ია!—დასცეს ყუიწა ბავშვებმა და გამ-
ვლელ-გამომვლელს თითქმის ცხვირში აგებებდნენ კონებს.

ქუჩის თავიდან ქუჩის ბოლომდე გარბოდ-გამორბოდნენ და
ხან ერთს კონას სთავაზობდნენ და ხან მეორეს.

— ია, დილის ია, მინდვრის ია!...—ისმოდა აქეთ-იქიდან.

— ერთი, ორი, სამი...—სთვლიდა ჩემი პატრონი ყოველი
კონის გაყიდვაზე გროშებს მუჭაში.

— შენ კირიმე, დედე! წამალსაც მოვიტან, პურსაც!—დაიძა-
ხა მან, როდესაც მე მომიშორა თავიდან და ელვის სისწრაფით
ცარიელი კალათით ბაზრასაკენ გაქაპდა.



მზაუნველი

მოიარე კალენდას
ჩემს ბაღაში აპრილი,
ვახსენ კარი, შემოფირინდი,
ატმის ყვავილს მივსალმე,
ვაშლის ხეებს დააკვირდი!

ყური უფხვ, გაიგონებ,
როგორ სკდება ტოტზე კვირტი!
ჩემს ბაღაში ზეიშია,—
—ინდი-მინდი ფერად-შინი!...

მერცხაღივით ფრთა გაშალე,
ვახსენ კარი, შემოფირინდი!

მაგრამ სულ რომ შენ კიკაპიკებ,
მეც მომაპყარ ყურთასმენა,
აღუბღების ზეიფნებში
წაგიკეთხავ „ღელა-უნას!“

ბუნების კარგი



რომელი ფრინველები არ ფრინავენ

ზოგიერთს ჰგონია, რომ ფრინველები უსათუოდ უნდა ფრინავდნენ. თუმცა ყველა როდი ფრინავს. ზოგი მხოლოდ დარბის, ზოგი წყალში დაცურავს, მაგრამ მაინც ფრინველების ოჯახს ეკუთვნიან.

არ ფრინავენ სირაქლეები და პინგვინები. სირაქლეები აფრიკაში ცხოვრობენ. მათ ძალიან პატარა ფრთები აქვთ. სირბილის დროს სირაქლეები ფრთებს იქნევენ და სირბილი უადვილდებათ.

პინგვინები კი ანტარქტიდაში ცხოვრობენ. თუმცა ძალიან ნელ-ნელა დადიან, მაგრამ სამაგიეროდ სწრაფად ცურავენ და მშვენიერად ყვინთავენ. პატარა, წვრილ ფრთებს ფარფლებად იყენებენ და მათი დახმარებით კარგად დაცურავენ წყალზე.




ყველაზე დიდი თევზი

აბა, ვინ იცის, რომელია ყველაზე დიდი თევზი?

ყველაზე დიდი თევზი გოლიათი ზვიგენია, რომელიც თხუთმეტი მეტრის ტბის ფსკერზე კუდით რომ დააყენო, თავი ტბის ზედაპირზე მაინც ექნება.

გოლიათი ზვიგენი პატარ-პატარა კიბოებით იკვებება. ერთი ზვიგენი იმდენ კიბოს ყლაპავს, რამდენსაც ქაშაყის მთელი ფარა.







პირადევაპი კოსმოსი

არდადეგები კარზე მომღვარი. კარგი ნიშნები ხიხარულით ცაში ააურენენ ბავშვებს და იქ თავიანთ ხაყვარულ გმირებს შეახვედრებენ.

ცულლუტებისათვის კი წუწუნი გვიანდა იქნება. ამ კოსმოსური რაკეტების ორთმტრიალში ნაცარქეიას თავგზა აპბნეგია.

ბარონ მიუნშაუზენი მასზე უარეს დღეშია: „რა კარგი ღრო იყო, ცერცვის ღეროს მთვარემდე აფავებოდი და ჩემს სიუოჩადე-ში ექვი არავის ეპარებოდა“.

კულიან დედაბერს კულიან გარსკვლავი ზავარდნია თმაში და ცეცხლი წაპკიდებია. ახია მაგაზე, ეგვი მარაქაში ერევა.

დახეთ, უბედურებას!—ცელქი ბურატინო გადმოვარდა რაკეტო-პლანიდან. მაგრამ პანტიკელა რის პანტიკელაა, თუ თავის მგო-ბარს არ უშველა!

ხატურნიც მოედის პირველ ხტუმრებს და ყველას ასე მხია-რულად მიეგებება.

მაშ, თქვენი იოცნებეთ, პატარებო!



ბაკა

მთელი მსახივრული ნახატი რ. ხაბაძის

ბატარა ნაკარა ბაკაიმ წყლის პირველად დაინახა ზამთარი. მთელი ტყე თოვლით იყო დაფარული. სუსხიანმა ქარმა ისე დაჰქროლა, რომ ნაკარას

ფხვლი

თვალებიდან ცრემლები წამოსცივდა.
— წალი აქედან, ისევ შენს სიროში შეგვეჭრი, თორემ გაგყინავ!— დაიგულუნა თოვლმა.
— შენ ვინა ხარ, რა გინდა ჩემგან?— გაუცვირდა ბაკას.



კოსმონავში

მეგობარ მსახივრული

რაკეტაში უკვე ვსებებით, მაღა გავფრინებთ, ჯერჯერობით მარტო ჩვენ ვართ კოსმონავტი ვები.

მთელ დღეს ვიღრწებთ, საღამოს კი დავეშვებით უკან, თან წაფრცხვით ყველას, ვისაც ცაში ფრენა უფარის.

ეს ნამწველი რაკეტაა, არ გგონოთ ყუთი, მთვარეზე რომ წამოვსვლავთ, გვირგვინი წუთი.

გეშინიათ?... ჩვენ კი ახლა რაკეტაში ვსებებით. და მთვარისკენ გავფრინდებით კოსმონავტი ვები.

ნახატი გ. სიმონიძის

რ
ე
ბ
ი

— ზამთარი გახლავარ, ვერა ხედავ, რა დღეშია ტყე? ეს ხეები თოვლით მე დაფარა. გზები ისე გაყინენ, რომ ცხოველები ძლივს მილიან წყლის დასაღვებად. მე ყველაზე ძლიერი ვარ!—ამაყად თქვა ზამთარს ქარმა და ხეებს გამაგებელი დაეჯახა. შეშინებული კურდღელი სკუპ-სკუპით გაიქცა და პაწაწინა კუნლის ჩირვებს წაწულა. ეს ჩირვებიც ბაკისავეთ პირველად ხედავოდა ზამთარს.
— საით გარბობარ ასე გამაწარბებული? — ჰკითხა კუნლის ჩირვებმა.
— მეშინია, ზამთარს უნდა დავემართო. ყველაზე ძლიერი ის ყოფილა.—უთხრა შეშინებულმა ბაკიამ.
— მეც მეშინია ზამთარს. თვალგებს დაეხუტვა და დაეძინებ, რომ არ დაეინახო.—დაამთქნარა კუნლის ჩირვებმა და თვალები დახუჭა. კურდღელიც თავის ბნელ სახლში შექტრა და მილს მისცა თავი. იშვიათად თუ გამოვიდოდა გარეთ.
— გინახეს, მშობილო?—გკითხებოდა იგი კუნლის ჩირვებს.
— შეშინებმა შეგომხედვ, ისეთი გაყი-

ნული ვარ, ხმასაც ვერ კივლებ.—ამბობდა ნამშინარევი ხმით კუნლის ჩირვები.
ერთ დღეს ბაკის ვილაკამ თბილი ხელი გადაუსვა და მიუაღერესა. გაკვირვებულმა აიხედა და დაინახა მზე, რომელიც მას უღიმოდა.
— ეინ ხარ?—ჰკითხა ბაკიამ.
— მე ვარ, ვერ მიცანი?...
— გახალსული უკვე მოვიდა!—შესახა გახარებულმა ნაკარამ.
— მოვიდა, მოვიდა!—მიუგო მზემ.
ბაკიამ კუნლის ჩირვებს მიაშურა. კუნლის ჩირვებს ტრატებზე მწვანე, პაწაწინა ფოთლები გამოენასკვა.
— რა ხანია ვიციდი, მშობილო. ხედავ, მზემ თოვლი გააღწია და არემარევა გაათბო.—უთხრა კუნლის ჩირვებმა მგებობარს.
— მზემ მკვებარა ზამთარი დაუპარცხებია, ვაშამ!— იუყარა ბაკიამ და ისეთი დაველური დაუარა, რომ კუნლის ჩირვებს ქვეშ ამოსულმა ენძვლამ ხელებით კახა დაიფარა.—ტალახით არ დამისვაროსო! გახარებული ბაკია კი ხან აქით გადახტებოდა, ხან—იქით.

უბობარი

ვახანგ კახაძე

პატარა გოგამ ბებოსთან მიირბინა:
 — ბებო, ბებო, ბურთი მინდა!
 — აკი, ახლა გაიტანე ბურთი,—უთხრა ბებოიამ.
 — იმ ბურთით სოლიკო თამაშობს,—უბა-
 სუნა გოგომ.
 — ვინ არის სოლიკო?
 — ვინ არის და ჩემი მეგობარია!
 — ჰოდა, შვილო, სოლიკო თუ მართლა
 შენი მეგობარია, ერთი ბურთიც გეყოფათ!
 —უთხრა ბებოიამ.



ნახატი მ. თოთიაშვილი



პალტო

მამამ საბავშვო პალტო მიაკითხა ანოს.
 აჩქარებდა:
 — აბა, ჩქარა, ანო, მალე წავიდეთ შინ,
 ბაბუა ჩამოსულა სოფლიდან!
 ანომ სასწრაფოდ გამოალო კარადა.
 პალტოს ეძებდა. სხვისი პალტო მოხვდა
 ხელში და ისევ თავის ადგილას უნდოდა
 დაეკიდა. პალტო ძირს დაუვარდა. მამას
 ეს არ დაუნახავს.
 — რას შვრები ამდენ ხანს?—უსაყვე-
 დურა ანოს.
 — მამა, სხვისი პალტო დამივარდა, ასე
 ხომ არ დავტოვებ!—მიუგო ანომ.

მჭედელთან

გიორგი შივაური

მინდა თოხის გაკეთება,
ვწრიალებ და ვწვადობ,
მჭედლის საქმე შეგიჯვარე
და მჭედლობას ვსწავდობ.

ძია ფათა მეზმარება,
მანაღისებს მუდამ.

მეუბნება:

— ისე არა,
აი, ასე უნდა!—

და შეორედ გააცხედებს
გამოჭედილ რკინას...
მისთვის წუთის საქმე არის
თოხის გამოპირვა.





კულჩისინა ძალი მერიკა და მახაპანა

ნაირს მახაპ

ზღაპარი

ერთ სოფელში ცხოვრობდა კატა ფისო. შვიტე სოფელში ცხოვრობდა კულჩისინა ძალი მერიკა.

ერთხელ კატა ფისო თავებზე წავიდა სანადიროდ. მიდიდა და ისე წაიდა, ყველა გაკვირვებული მისტებოდა.

- გამარჯობა!—უთხრა მერიკამ ფისოს.
- გაგიმარჯოს!—უპასუხა ფისომ.
- ხად მიღისარ!—კითხა მერიკამ.
- ხანადიროდ!— უპასუხა ფისომ.

— მერე ასე რომ წახვი, თავები ხომ გაიქცევიან,—უთხრა მერიკამ.

— მე ისეთი შარდი ვარ, რომ თავები ვერხად გაშეიქცევიან,—უპასუხა ფისომ და ისე დაიწაველა, გვეგონებოდათ, თავებს ბუნობა: „მე მოედევარ და თუ ბიჭები ხარო, გაქცევა მოასწარიო“.

სორიდან ერთი პატარა თავი ამოფლელი და დიდხანს ეძებდა რაიმე სასუნავი ვნახო და შეეპაპო.

კატა ფისომ მოჰკრა თუ არა თვალი თავებს, უღეშებზე თათი გადაისვი, ერთი მაგჩად

კაგა ფისო

დაიხსვლი და რაც ძალი და ღონე მქონდა გაქცა თავის დასაქვრად.

გაიგონა თუ არა ფისოს ჩხავილი, თავი მაშინვე სორიში სიქცა. კატა ფისო მიახტა სორის, ბვერჯერ დასუნა, თითბოთე ბვერჯერ მოფსკუნა იქაურობა, მაგჩარ თავი აღარხად იყო. ხარხა ფისო ხახაშწალი.

ძალი მერიკა კი იქვე იღბა, კულს ბეცინებდა და იღიმებოდა, თითქოს ფისოს ეუბნებოდა:

„ჩხავილით თავის დაქვრა ვის ვაფგობაო.“

9368

ნანი
საზრუნავი
მორჩილ მამათს

— ნანი, მოდი და მამიკოს დაეულაგოთ წიგნის თარო.
— არა, ღელა, ჯერ ეზოსი ფისო უნდა გაეატარო.—

დახტის ნანი, გაიძახის:
— ფისოს უნდა რძე და ყველი; ფისოს უნდა ტკბილი ძილი, საწოლი და სავარძელი.—



— ნანი, მოდი, მომიჯეცი, გაეხსენოთ ანი-ზანი.
— არა, ღელა, ხომ უყურებ, ჯერ ფისო მყავს დასაბანი.

— ნანი, მოდი, ვაშლი ჰმეო, დაანებე უთოს თავი.
— არა, ღელა, ხომ გითხარი, ჯერ ფისო მყავს მოსართავი.

ფისო გახდა ქალბატონი, სახლისა და ეზოს თვალი. დასტრიადლებს თავზე ნანი, ეს პატარა ცელქი ქალი.

ღელა ამბობს:—შვილო ნანი, თუ გალაგრვეს ასე კატა, დაეუძახებ ძია ვანოს და შენს ფისოს მას გაეატარა.

ნახლები 2. ამერიკის საზღვაო მარცხი

ნა დომ კარის?

- რა დრო არის?
- ათს უყვია.
- ეგ ვინ გითხრა?
- თაგუნამ.
- აბა, სად მის?
- ბედლის თავებ.



- რას აკეთებს?
- შარვალს ჯღანავს.
- ვის მიართმევს?
- სიძე ბატონ ბაგაჯღანას.
- სიძე ვინ ჰყავს?
- დიდი ვირთხა.

ფრანგული ხალხური სახეობით
თარგმანი მანაპა მკაულონიძე

კინო ვეები

ზღაპარი

ნახატები ვ. მილიჩივიჩისა

ტყეში ხმა გავარდა, დღეს კინოს უჩვენებენ ისხვის ქუჭულზეო. ტყის ბინადარმა ფულურიონმა მუხაზე გაკრულ აფეშისთან მითყარა თავი. მწვანე ხავსზე ფერად-ფერადი ყვავილებით გარკვევით ეწერა:

კინო „ყვავილეთი“

ნახეთ ყველამ მხატვრული ფილმი

„პატარა ქუჭულის თავგადასავალი.“

ყვავი, კურდღელი და მამალი ერთად გაუდგნენ ზნახს. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, კინო „ყვავილეთს“ მიადგნენ. ბილე-

დარბაზში ხმაურისაგან ყურთახმენა აღარ იყო. მაგრამ როგორც კი ჩაქრა ციციანთელებით გაკესპახებულნი ქალი, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუწის გაფრენას გაიგონებდით.

ფილმი დაიწყო, რა მხიარული ფილმი იყო! პატარა, ბუნჩულა ქუჭული მოუღალავად ქუაქუაებდა და დავლურს უვლიდა. ბოლოს მობეჭრდა ხტუნვა-თამაში და ტყეში გასეირნება გადაწყვიტა. მაგრამ დახეთ უბედურებას! სულელ ქუჭულს გზა აიხნა.

თები იყიდეს და დარბაზში შევიდნენ. დარბაზში ტყვა არ იყო, ტყუპი და-ძმა ციყვეები ლოჯიაში იხტიენად მოკალათებულნიყვნენ და თხილს აკნატუნებდნენ, მერცხლები ქანდარაზე შესკუპებულნიყვნენ და ტიუკიით იკლებდნენ იქაურობას, ვირი და სინდიოფალა ერთად ისხდნენ პარტერში. ხოლო მათ უკან ჩხველეთა ზღარბი დამუჯდარიყო.

ჩვენმა ნაცნობებმა შუა რიგი იჩიეს.



რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, ხარუდაქციო კოლეგია: ვ. გიმიშვილი, კ. გომიშვილი, ჯ. ლოლუა, მამპალა მამიკლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხალაძე (ხმხატვარი რედაქტორი) რ. შიიშვილი.

საქართველოს ალექსანდრე მესტიის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის თანამშ. სამსრნაძეს

ტექნიკატორი ბ. რიგინიშვილი

გამოცემის ოდამეჩედეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამოცემლობა „ნატალეა“, გამომც. შავი, № 46, სტამბის წყა, № 2387, ტრაიტი #2000, ხელმოწერილი დასაბედად 22/II-1964 წ. იერნლი დაბედალა პოლთარეულ კომპიატ გერმანტონ, ლენის ქ. № 14 „ИЛИА“ на грузинском языке. Тбилиси, прес. Плевахова № 91.

რედაქციის მხანართი: თბილისი, მდებანვის მოსა, № 91, ტელ. 5-37-38.

დასი 20 კაბა.

დაღამდა კიდევ, რა ვშველებმა ხაზარდოს ცხოველები შეშინდნენ.

— შინასაკენ, ჩქარი!— დაწრობინა დამფრთხალმა კურდღელმა.

— მაგ წით ბუ მიდიხარ!— დაუვიღლა მამალმა.

— ხსსს, ზელს ნუ გვიშლით!— დაიხიხინეს ბატებმა.

სად იყო და სად არა, ეკრანზე ცნებრი მელი გამოჩნდა. ტურები მხურვალ გააწვლაქუნა და ჩაიხიხინათ: აო, რა შემწვარი შექნებოა!

სულელ ჭუჭულს არც კი შეუმჩნევია მელია, არხეინად მიბაჯბაჯებდა ბილიკზე.

ყვავმა ველარ მოითმინა და ჩხავილი ასტეხა. მამალიც წამოხტა, სკამის საზურგეზე შეხტა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და აქოთ-ქოთდა:— აქედან დაიკარგე, შე ბოროტო შენაო!

მშიშარა კურდღელი სკამქვეშ შეძვრა და იქიდან ემუქრებოდა ყაჩად მელიას.

მელია კი აინუნზიაც არ აგდებდა მათ ყვირილს და ჭუჭულს ისევ კულში მისდევდა.

— ეს ვინ მამიჯებს კულზე!— დაყროყინა ამ ღროს ვიჩმა, რომელსაც ზღარბმა უსმელიტა ამ ორომტრიალში.

ღარბაზში ერთი ქროანული ატვლია. მერცხლები ელურტულით აწვადგროდნენ ქეტს და კედლებს. დანარჩენებიც დაბობდნენ, ვაშვიშებდნენ და დაწრობინებდნენ. აუო ერთი ორომტრიალი!

კითხველნი კახმა კაცამ სახედრიგოდ ხინაულე ანთო და ცხოველებს დამშვიდება დაუწყო.

— რასაც ეკრანზე ხედავთ, მართალი ნუ გგონიათ იო, ნაბავთ, ჭუჭულს არაფერი არ მოუვია!



ცხოველები, როგორც იქნა, დაწყნარდნენ. ის იყო კაცა ფილმის გავრძელების აპირება და რომ ცოვეების ღოჯის წინ თხილის ნაჭუჭებს მთელი გროფა შენიშნა, ყველანი ციყვებს მაჩერდნენ. დარცხვენილმა ტყუპებმა ბოღში მოიხადეს და თვალისდახამხამებაში მოასფფთავეს იქაურობა.

ეკრანზე ისევ გამოჩნდნენ ჭუჭული და მელია. ფილმი მალე დამთავრდა, ყველანი დარწმუნდნენ, რომ მხოარული ჭუჭული მშვიდობიანად დაბრუნდა შინ.

მაგრამ გარეთ რამ გამოვიდნენ, ყვაფი თაფის შეგობრებს უჭტაცებდა!

— დამიჯრეთო, ზეენ რომ არ გვოფილაკავით, ის სიძაცელი მელა ჭუჭულს უფილენლოდ შეხანხლავდა!

შეგობრებოც კვარს უკრავდნენ ყვაფს და იმაყად თავიწვულები მოაბიჯებდნენ ხელაკზე.

ეკრანულიდან თარგნა დადა კოკაიან.



653/100

„რაკეტა“—ნახატი ზურაბ ედიშერაშვილისა, 8 წ. ხაშური.



ИНДЕКС
76055




„გახეირნება“—ნახატი თამარ კუპრაშვილისა, 5 წ. თბილისი.



„შეღებენ“—ნახატი ნათია ნიშნაიანიძისა, 5 წლის. თბილისი.

„მშალი“—ნახატი ლილა ჩაგელიშვილისა, 6 წ. ქ. ორჯონიკიძე.



„არტილერიისტები“—ნახატი გიო გაბრიაძისა, 6 წ. ქუთაისი.

„გოგონა“—ნახატი თეა ჩაჩუასი, 3 წ. თბილისი.



„სამწყვემტოვი“—ნახატი მ. მარწყვეთაშვილისა, 9 წ. გორის რაიონი, სოფ. შინდისი.